საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

01/08/2024
N 09-02-16/442

442-09-02-16-2-202408011738

აჭარის ა.რ ფინანსთა და ეკონომიკის
მინისტრს ბატონ ჯაბა ფუტკარაძეს

სადეპუტატო კითხვა

ბატონო ჯაბა,

ხულოს მუნიციპალიტნეტში, უმნიშვნელოვანეს, ტურისტული მიზიდულობის ადგილზე, მწვანე ტბის მიმდებარედ უკანონოდ ხორციელდება ინერტული მასალის მოპოვება, რაც ანადგურებს მწვანე ტბის ეკოსისტემას. ამავე დროს, როგორც თქვენთვის ცნობილია მწვანე ტბა ივსება მიწისქვეშა, ჩამდინარე წყლებით და იქ ინერტული მასალის მოპოვებამ შესაძლოა გამოიწვიოს ტბის დაშრობა და ეროზიები.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად გთხოვთ:

1. მოგვაწოდოთ შესაბამისი კვლევის/დასკვნის ასლები, რომლის საფუძველზეც მოხდა ნებართვის გაცემა, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ასლთან ერთად;
2. აუქციონის, ხელშეკრულების ასლები, რომლის საფუძველზეც ხდება ინერტული მასალის მოპოვება;
3. კომპანიის მონაცემები, ვინც მოიპოვებს ინერტულ მასალას;
4. ინერტული მასალის დარღვევით მოპოვების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი რეაგირების დოკუმენტების ასლები, ასევე საგამოძიებო ორგანოებში გაგზავნილი დოკუმენტების ასლები;
5. ინერტული მასალის მოპოვების ადგილამდე გზის მშენებლობის პროექტისა და ნებართვის ასლები;
6. ინერტული მასალის მოპოვების დანიშნულება, ღირებულებასთან ერთად, ასევე რა ოდენობის თანხები იქნა გადახდილი ბიუჯეტში კომპანიის მიერ;
7. სხვა ნებისმიერი დოკუმენტი(შემოსული და გასული დოკუმენტები, ადმინისტრაციული აქტები და სხვა) რაც დაკავშირებულია მწვანე ტბის მიმდებარედ ინერტული მასალის მოპოვებასთან;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"